

გაზეთის ფასი

გაზეთით ტფილისში და გარეშე ადგილებში:	მათხი ვალიფადი:
მართის წლისა — 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევარის წლისა — 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —
ცალკე ერთის ნუმრისა გაუზაფხვლოთ — 3 შაური.	

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

ხელის-მოწარა მიიღება:

ტფილისში „დროებას“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-შვილის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Вь Тифлисъ. Вь контору редакциі грузинской газеты „ВРЕМЯ“. რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. შსი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრძის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

დროება

საკოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

შინაარსი:

შინაგანი ცნობა.—სალიტერატურო სტატიები.—პოლიტიკა: ანგლია.—შრანცია.—ისპანია.—საბერძნეთი.—სერბია.—ტელეგრაფები.—განცხადებანი.—საბიბლიოგრაფიო ცნობა.

შინაგანი ცნობა.

თბილისი, თებერვლის 5-ის სასოფლო სახლოსნობის წლის კრებაში მათი იმპერატორის შმალლესობის მთავარმართებლის ნებით დანიშნულ ჯილდოები შემდეგთ პირთ, რომელთაც წარმოადგინეს სასოფლო სახლოსნობის სხვა და სხვა სასარგებლო ნივთები:

1) ძრების ნამდვილს წევრს, გენერალ-მაიორის მეუღლეს ლუბოვ ივანეს ასულს პარმალინისას მიეცა პატარა ხელში საჭერი ვერცხლის მედალი, იმის გამო რომ უ. პარმალინისა ექვსი წლის განმავლობაში გაუწყვეტლივ შევლოდა კრებას თავის მიმართულებაში და მთის ხალხში ავრცელებდა სახლოსნობის ცოდნასა და ზუნებში გააჩინა აბრეშუმის ჭია.

2) სტავროპოლისს ჩამომავლობით მოქალაქეს ქოსტანტინე სტასენკოვს მიეცა ხელში საჭერი ბრონძის მედალი; ამას იმიტომ, რომ წარმოადგინა კრებაში ცივარები თავის მიწაზედ სტავროპოლისს ახლოს მოყვანილი თანაქოდგან გაკეთებულნი; გარდა ამისა ამან წარმოადგინა კიდევ სხვა სახლოსნობის სასარგებლო ნივთები.

—თიბათვის 1-ს. აქეთა ძვეკაზის ქალების ინსტიტუტში ასრულებენ ქალების სწავლის კურსსა და გამოცენენ; ამავე თვის 3-ში იქნება კენჭის ყრა, რომ დატლილი ადგილები ისევ შეიმოსოს მოსწავლე ქალებითა. ინსტიტუტის რჩევა იმიტომ უცხადებს ამას მშობლებსა და აპეკუნებს იმ ყმაწვილებისას, რომელნიც არიან დანიშნულები კანდიდატებათ, რომ ვადა თხოვნისა კენჭის ყრაში ჩარიცხვისათვის იქნება უკანასკნელი დღე მარტის 31 1869 წლისა; ვინც ამაზე გვიან შემოიტანს თხოვნას, იმათთვის კენჭის ყრა გადავა 1870 წლისათვის.

თიბათვის 1-ს 1869 წელს შემდეგი ქალები დაასრულებენ კურსსა:

ა) სახელმწიფო ხარჯით აღზდილები: მონსევიჩი მარია, ნაზდრიოვისა ნადეჟდა, ნესტოროვისა ნინა, და ცარუპა იულია.

ბ) იმპერატორის პანსიონერები: მიხაილოვისა სოფიო, ძვეკაზის მთავარმართებლის განკარგულებას ქვეშე სუშმაზე აღზდილები: ზლოზინისა მლგა, და შონაქული მანა დეკსანდრა.

გენერალ მაიორი თავადი მასილიკოვის სა-მოწყალო სუშმაზე აღზდილი—ბოტიუგინისა ლილია.

თავიანთი დედამის ხარჯზე აღზდილები: ბაბარკინისა მლისაბედი, ბაგრატიონ-მუხრანსკისა კნიაჟნა მეთევან, მერცინსკისა დომინიკა, ძალანთაროვისა თაქუია და სარაჯოვისა მარია.

—ბევრმა გაზეთებმა აცნობა პუბლიკას, რომ ვითომც უ. ბერცენი (ისკანდერი) მოსულა მენაში და უნახავს აესტრიაში რუსეთის სა-ელჩო მღვდელი რაეესკი; ამ ამბავმა, ამბობს „საბიბლიო უწყება“, მრავალი პეტერბურგის კორპორაციები გააღვიძა. ისეთი ხმა გამოვიდა, რომ ვითომც უ. ბერცენს მღვდელი

იმისთვის უნახავს, რომ მიანდოს იმას თავისი წადილი რუსეთში დაბრუნებისაო. ღარწმუნებით ამბობენ, რომ ვითომც მ. რაეესკი აურჩევიდა უფ. ბერცენს შუამავლოთ იმასა და მმართველობის შუა, და ვითომც მ. რაეესკისა ც მიუღია ეს შუამავლობა და პეტერბურგში კიდევ მოუწერია ერთს მოძღვართან, რომელსაცა აქვს დიდი მინდობილება მთელი რუსეთის უმაღლესის სახლსაო.

ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაზავდების.

უფ. ზუბოვი თავის „ორიოდე სიტყვაში“, რომელიც „დროების“ №8 იყო დაბეჭდილი კორრესპონდენციის წინააღმდეგ, ამავე „დროების“ №8 მუთათისს ჯაჭვის ხილის ჩაქცევაზე, —გეცნობებს ჩვენ თავის სიმართლესა შესახებ მისგან აშენებულის ჯაჭვის ხილის ჩაქცევისა; ამ სტატიითა ჩვენა გეცნობთ:

1.—რომ ამ ჯაჭვის ხილის ასაშენებლად იმას მიუღია მხოლოდ სამასი თუმანი (3000 მ.); მაშინ, როდესაც მარტო ერთი რკინეულობა, რომელიც მოსდამებია ამ ხილის აშენებასა, გარდა ქვისა და ხისა, დასჯდამია ამშენებელს უმეტეს სამასის თუმნისა.

2.—რომ ეს ხილი ყოფილა აშენებული იმ ანგარიშით, რომ იმაზედ ევლოთ მხოლოდ ფეხით მოსიარულეთა და მსუბუქ ეკიპაჟებთა. —ჯაჭვი ყოფილა იმ ზომისა და იმ სიმგარისა, რომ იმას აეტანა მხოლოდ 600 ფუთამდე სიმძიმე უშიზრად.

3.—რომ წყალკურთხევა დღეს ამ ხილზე დებულა თოვლი სიმძიმით, როგორც თვით უანგარიშნია, ათას რეაას ფუთამდე (1800 ფუთ.). —მსე იგი სამი იმოდენა, რაც დანიშნული ტვირთი ყოფილა ამ ხიდისთვის.

4.—რომ სამი დღის წინათ ამ ხიდის ჩაქცევამდე, იმას მიუღია ყოველივე ღონისძიება, რომელიც კი იმაზედ ყოფილა დამოკიდებული უბედურების ასარიდებლად, და ის ღონისძიება მოყვანილ ყოფილა თუ არა აღსრულებას იმისი ბრალი სრულებით არა ყოფილა.

აი საბუთები, რომელსაც გვირდგენს ჩვენ უფ. ზუბოვი თავის განამართლებლად, ვითაცა ამშენებელი, ამ ხიდის ჩაქცევის საქმეში. ჩვენ ამ საბუთებზე არა გეცქერა სათქმელი. —მსწუხვართ, რომ მანამ დავსწერდით ჩვენ კორრესპონდენციას ჩვენ არ ვიცოდით ეს გარემოება ამ საქმისა.

უფ. ზუბოვო! თქვენ მემუქრებით განაცხადო ამავე გაზეთში, რომ ჩემ მიერ დადებულთ იქვნი თქვენის პატივის შესახებდენი იყენენ დაწერილი მოუფიქრელად, თორემ თქვენ იძულებულ იქმნებით კანონიერის წესით მომიწოდოთ მე სამსჯავროში და მოითხოვოთ პასუხი მითომ ჩემ მიერ თქვენის შეურაცხებისათვის. —ამაზე მოგახსენებთ აი რასა; რომ ჩემ მიერ შეტანილი ეჭვი თქვენზე იმ ხიდის ჩაქცევის თაობაზე იყო დაწერილი არა დაუფიქრებლად, არამედ უცოდნელობის გამო იმ გარემოებათა, რომელსაც ეწლა ეტყობოლბ მე და მისთანვე უმეტესი მუთათისის მცხოვრებნი, და რომლითაცა სჩანს რომ იმ

ხიდის ჩაქცევა სრულიად თქვენი დანაშაულობა არა ყოფილა.

თუმცა ძალიან გწყენიათ ჩემგან ბნელი ეჭვის შეტანა თქვენზე, მაგრამ ძალიან უმადური არ უნდა დარჩეთ იმ ჩემის კორრესპონდენციითა, რადგანაც იმით მოგეცათ თქვენ შემთხვევა ამ ორიოდ სიტყვის დაწერისა მაინცა, და თქვენის სიმართლის სახლობდ გამოცხადებისა, სახლობდ და არა მარტო კაბინეთში; მერწმუნეთ ეს სასარგებლო იყო თქვენის რეპუტაციისთვის, რადგანაც მე კი არ ვიქნეეულობდი თქვენზე, არამედ მე ვსწერდი ჩემს კორრესპონდენციას ხალხის ეჭვისა. თუმცა თქვენა ბძანებთ, რომ მუთათისში ყველამ კარგათ იცის ამ ხიდის საქმე, —მაგრამ შემდარი სძანდებით ამ თქვენ ფიქრში: —ის ბნელი ეჭვი, რომელიც მე შევიტანე თქვენზე, მერწმუნეთ, არ ყოფილა ჩემგან შედგენილი, არამედ იყო ეჭვი ხალხისა, რომლისათვისაც სრულიად უცნობელია ამ ხიდის თაობაზე თქვენი მიწერ მოწერა, თქვენი დოკუმენტები და ყოველნაირი თქვენი კაბინეტური საქმის წარმოება.

ჩემს კორრესპონდენციასში მე დაესწერე მხოლოდ ის, რაც მე თვალთ დავინახე და მხოლოდ ორიოდ სიტყვა იმისი, რაც მე სამი დღის განმავლობაში მესმოდა ხალხისაგან, რომელნიც იყენენ მოგროვილი გლმა-გამოღმა იმ ჩაქცულ ხიდთან.

მერწმუნეთ ამ „ორიოდე სიტყვის“ თქმა სჯობდა სულ უთქმელობასა, —და თუ ამ „ორიოდე სიტყვით“ სრულიად და ბეჯითად ვერ შევიტყუათ ამ საქმის გარემოებას, —ვინც წაიკითხამდა ამ თქვენ სტატიასა, თქვენზე ეჭვს მაინც აღარ იქონიებდა.

ამჟამად სჩანს, რომ თქვენ თქვენი ვალი აღისრულებით ამ ხიდის ჩაქცევის გამო უბედურების ასარიდებლად.

1869 წელსა,
მარტის 5-ა დღესა
მუთათისს.

ტფილისის ამბავი.

Кавказ-ი ამბავს ოთხშაბათის ნომერში, ნამდვილი ამბავი შევიტყუეთ, რომ მისი იმპერატორების შმალლესობა, დიდი მთავარი ნიკოლოზი (ხელწიფის ძმა) ტფილისში შოთხე ამ თვის 28 რიცხვამდის მოვაო.

ცეცხლი თიანთი.

ტფილისის უეზლში თავად ზ. ბარათაშვილის სოფელში, შოთხეში, თებერვლის 9-დგან, საათის 10-ზე შუალამისას, ცეცხლი მოვიდა ქვეთკირის სამ ატაჟიანი წისქვილს, რომელიც რუსულათ იყო გაკეთებული ოთხი თვლიანი და დიწვა აგრეთვე ქატოს მოსაშორებელი მაშინით. წისქვილი საფეკავის და დაფეკელის პურით სულ გადიწვა. წისქვილის კედლები სრულებით წაშლარა და ბორბლები ისე გაფუჭებულა, რომ აღარ გამოდგებოა. ამ ცეცხლს თ. ბარათაშვილისთვის ათას ორას თუმნამდინ ზიანი მიუტია. მს წისქვილი ბარათაშვილის წელიწადში ექვსას თუმნამდინ შემოსავალს აძლევდა, ამ წისქვილის წახდენა გარე-

შემო ორმოც სოფელსაც დაეტყუა და ძალიან დასაკლისია, რადგანაც სხვა წისქვილები ძალიან დაშორებულებია.

ძართული ტეატრის წარმოდგენა თბილისში.*

წლევანდელს ყველიერში წარმოსდგა ორჯელ ქართული ტეატრი ქართულის სცენის მოყვართაგან. მიდრე არ მენახა ეს წარმოდგენები, მეგონა ვერ წავა რიგზედა მეთქი. ამ აზრზედ უფრო ის მაშეკიდრებდა, რომ პირველათ უნდა წარმომდგარიყო სცენის მოყვართაგან, ე. ი. გაუფარჯისებელთ აქტიორებისაგან და მეორე უადგილო ადგილას, როგორც იყო ნემეცის კლუბი—პატარა, უდეკორაციო და ყოველის მხრივ უხერხო. ამიტომაც არ ვაპირებდი წასვლას ტეატრში. მეორე რაღაც შემთხვევამ მოიტანა და დაეცნა წარმოდგენას, რომელმაც ჩემი უწინდელი აზრი იმაზედ უმაღლესე დაჰკარგა. ისე საუცხოვოთ შეერჩიათ როლები და ისე მშვენიერათ არდგენდენ, რომ სრულებით ნამდვილს ემსგავსებოდა. უფ. ა. სუქიასიანი „მაცყარაში“ და „მე მინდა კნენა გაენდემი“ მშვენიერათ თამაშობდა სომხის როლს; იმისი ყოველი სიტყვა არ იკარგებოდა: ყველას საერთო სიცილი და ტაში მოჰსდევდა, სჩანს რომ უფ. სუქიასიანს აქვს ტალღანტი სცენისა. ძიდევე საუცხოვოთ თამაშეს „ძუნწი“ იმერლის როლი (ხოსია მელაძემ) და „მაცყარაში“ პავლეს როლი. შესანიშნავნი იყენენ აგრეთვე ივანეს როლში უფ. ი. ბერიძე და პანკრასისაში უფ. ავალიშვილი. არ შეიძლება მოუხსენებლივ შემდეგი როლებიცა: ილიკოსი, დავით კნიაზისა, თუმცა სხვა როლებიც არ იყენენ ცუდათ წარმოდგენილი. მს იყო სასიამოვნო კიდევ ამ ბოლოდღელი ტეატრებისა, რომ ქალებმაც მიიღეს მონაწილეობა სიამოვნებით წარმოდგენაში, ასე რომ თურმე ეცილებოდნენ კიდევ ერთმანეთს.

პუბლიკა იყო სრული კმაყოფილი წარმოდგენისაგან. იმათ სრულებით დაევიწყეს უცხო ენებზედ წარმოდგენილი ოპერები, ასე რომ ტაში არ გაუწყვეტით და დიდის სიამოვნებითაც უყურებდნენ. მაინც ყოველთვის ასეა: როდესაც კაცი იმისთანა რასმეს ხედავს, ან ისმენს, რომელშიაც სამშობლო ხმა ისმის, როგორათაც განსაკუთრებით სიამოვნებას მიეცემა და გულიც სიამოვნებას გრძნობს.

მანსაკუთრებით მოეწონა პუბლიკას ჩვენებური საკრავები ანტრაქტებში. ის ერთი ბეწო ზალა, რომელშიაც იყო წარმოდგენა, ისე გატენილი იყო ხალხითა, როგორც წარმოდგენის დროს, აგრეთვე ანტრაქტებში და დიდის სიამოვნებით უგდებდნენ ყურს საკრავებსა; არც სიცხეს, არც სიმჭიდროვს არ დაერიდნენ. მაგრამ ეს არის საკვირველი, რომ

* რედაქცია თუმცა ძალიან ბევრში არ ეთანხმება ამ სტატიის ავტორს, მაგრამ ბეჭდავს, რადგანაც ის აცხადებს ზოგიერთ შესანიშნავს ფაქტებს, სხვათა შორის ვითომც აქტირები ერთი ერთმანერთს ეცილებოდნენ. მს მართლათაც შესანიშნავი ფაქტია, რადგანაც აქამდინ ძნელათა ბედადდენ ჩვენებური ქალები სცენაზე გამოსულიყენენ.

ევროპულს მუშაკს რაღათა ხმარობენ ხო-
ლმე ანტრატებში ქართული წარმოდგენის
დროს? ხომ ცხადია, რომ ჩვენებური საკრ-
ებები უფრო კარგათ გადალევენ ხმას ჩვენი
გულის ტანჯვაზე, სიხარულზე და სხ. და ეს
უფრო მოსაწონარი იქნებოდა ჩვენთვის? ან
რით არის ჩვენი მუშაკი ნაკლები ევროპი-
ულს მუშაკზე? რამდენი სინაზე, მელოდია
და აზრი დევს იმაში! მერე მელოდია ჩვენე-
ბური! მაგრამ ეს ოხერი სხვათა მიხედვით
პავს ხალხს! შთუთ ევროპული მუშაკი
უნდა გვეკონდეს ანტრატებში; ეს უფრო
წესიერი და მიღებულია მაღალ ხალხში.
მაღალი ხალხი... შრანციული ენა არის
მიღებული, მაღალ ხალხში მარტო სიტყვებსაც
ფრანციულით არ გადათარგმნით, რომ უფრო
წესიერი და მაღალ ხალხში მიღებული ყოფი-
ლიყო. მაგრამ კარგია მაღალი ხალხის სურ-
ვილს არ მიჰყოლოდნენ წარმოდგენი და
დაენიშნათ ჩვენებური საკრებები. ამ საკრებებმა
თეატრს სულ ქართული ხასიათი მისცეს, ასე რომ
რადაც ფანტასტიკურს მ.ჯლიშს დემგზავსა.
მართის სიტყვით წელს ქართული თეატრი
ძალიან წარმატებით წარმოსდგა; პუბლიკაც
და აქტიორებიც სიამოვნებით დარჩნენ.

მარდა ამისა პუბლიკამ თავისი სიყვარული
ქართულის სცენისა იმით დაამტკიცა, რომ
ბილეთები წინააღმდეგე დაიტაცეს და მერე
ბევრნი მზათ იყენენ ერთი სამათ ფასი მიეცათ,
მაგრამ ბილეთები აღარ იშოვებოდა.

ამ წარმოდგენებმა დამტკიცა, რომ ახლა
არის მოთხოვნილება პუბლიკაში ქართული
სცენის დაწესებისა და ხალხშიც არის სცე-
ნის მოყვარეთა ელემენტი. ეს მოთხოვნილე-
ბა არის ღირსი დაკმაყოფილდეს! მარ-
თული სცენის დაწესებას შეუძლიან წაიყვა-
ნოს ლიტერატურა დიდს წარმატებაში. მაშინ
ამოჩნდებიან პიესების მწერლები, პოეტები,
როგორც ყოფილან ამას წინ, როდესაც ქარ-
თული თეატრი იყო გამართული; და ახლა
კი რადგანაც თეატრი არ არის, არც პიესებს
და სწორს ვინმე და არც სწინდებიან პოეტები.
სასცენო პოეტებს და დრამატურგებს ახლა
სძინავთ. ასე იცის ოხერმა ყურის მიგდება
ყველაფერში: თუ მოთხოვნილება არის რი-
სამე და თავს კი არაიენ უღებს ამ მოთხოვ-
ნილების დაკმაყოფილებასა, მაშინ თუნდა
იყენენ კიდევ შემძლენი აღსრულებისა, მა-
ინც ეძლევიან რაღაც გაუღვიძარ ძილსა. ეს
არის საკვირველი, რომ ყველა საქმეს, თუნ-
და უღირსეულიც იყოს, როგორც ფქვილის
მიედანში სყიდვა და მერე ერთი სამათ გა-
ყიდვა, მაშინვე მოთავენი და თანხები უჩნ-
დებიან და თეატრის დაწესებას კი არა! მი-
თომც თუ ბევრი ფული და დიდი შრომა უნ-
დოდეს? სულაც არა. ეს აქტიორები ხომ
მზათ არიან, მგონია ორი წელიწადი უფასო-
თაც შეეშველონ თეატრის გამართვას. და
ფულათ კი პირველში სამასი თუმანი ამ სა-
ქმეს თავსა სდის.

ფ. ფ.

პოლიტიკა.

ანგლია.

ირლანდიაში სიჩქარით არდგენენ აღწერებს
მიწებისას, შენობისას და სხვა ქონები-
სას, რომელნიც ეკუთვნიან ირლანდიის ეკ-
ლეზიას; და ამაზე ბილიცი მართის პირველ-
ში უნდა პალატაში შეატანათ. ბევრმა წილმა
პროტესტანტებმა ირლანდიაში ახლა ძლიერს
გამოიღვიძეს და ახლა შეუდგნენ გულისათ
საქმესა, რომ ეგები რეფორმას დაეშალოთ
რამ, ან სრულებით მოვიცილოთო. აქამდინ
ირლანდიის ეკლესიის მომხრე სასულიეროს
წოდებისანიც და საერონიც ძალიან ლაპარა-
კობდნენ ამ საგანზე და ბევრსაც სწერდნენ,
მაგრამ საფუძვლიანი კი არა გაუკეთებიათრა.

აქამდინ თუმცა კრებებს არდგენდნენ ამ სა-
განზე, მაგრამ ვისი იმედიცა ჰქონდათ, თითონ
ისინივე გახდნენ საუდრის რეფორმის მომხ-
რენი; ეს არის შესანიშნავი, რომ ირლანდიის
კონსტიტუციური გაზეთებიც ურიგდებიან რე-
ფორმას. ჩვენს გვესურს, ამბობს კონსტიტუ-
ციური გაზეთი „Mail“—მხოლოდ, რომ ირ-
ლანდიას მიეცეს იმ გვარივე სარწმუნოების
თავისუფლება, როგორცა აქვს იტალიასა,
და ამ ცოტას ხნიდგან ისპანასა. თუ პარლამენტი
ამ ჩვენს სიმართლიან თხოვნას და-
აკმაყოფილებს, მაშინ ათი წელიც ვერ გან-
ვილის, რომ ირლანდიის ეკლესია ისე გამდი-
დრდება შემოწირვით, რომ თავის ქონე-
ბების ზიანს აღარ დაიჩნდეს, და პაპობასაც
ძალიან დასცემს ირლანდიაში; ეს სამი საუ-
კუნეა რაც სახელმწიფო ეკლესია ეჯიბრე-
ბოდა პაპობას ირლანდიაში და ეერა დაკ-
ლო რა.“

— მტრულში (ძანადაში) თებერვლის 11-ს
დაახრჩეს შოლენი, რომელსაც დაპარალ-
და ძანადის მინისტრის მკაცრს მოკლა.
ბოლომდისინ არ გატყდა და რომ აღიოდა
სახრჩობელაზედ, წამოიძახა: „შველას ვთხოვ,
ვინც მიცნობდა, მაპატიოს ჩემი დანაშაული,
როგორც მე ვაპატივე ყველა სიმტყუნე და
ჩემი წყენა. ღმერთო მოარჩინე ირლანდია
და მიიღე ჩემი სული.“

ანგლია. ლონდონი, თებერვლის
23-ს. ახალი ამბები ახლის ზეღანდიდგან
გეცნობდნენ, რომ ბუნტი თუ არ დადგა,
არც გავრცელდებოდა; იქაურთა მცხოვრებთ
შეადგინეს მელინგტონში მიტინგი (კრება),
რომელზედაც გადასწყვიტეს, რომ შემდგე-
რათვის თავიანთ საკუთარ ღონებზედ უნდა
იყენენ დამოკიდებულნი და სამშობლოს აღ-
რა სთხოვონ შველა. მაგრამ იმისი ცნო-
ბაც არის, რომ ვითომც იქაურნი 600 დედა-
კაცი, და ქალებს სთხოვდნენ წიგნით ძო-
როლევსგან, რომ გამოეგზავნა ჯარი მცხო-
ვრებთა მისაშველებლათ აბუნტების დამშვი-
დებისათვის.

შრანცია.

თებერვლის 24-ს.—მპროზიციის წვე-
რებმა შეიტანეს წესდებულების კორპუსში
შემდგევი გასწორება ბიულეტენისათვის;
„მმართველობის ჩინოვნიკებს არა აქვს
ნება დაიჭირონ რამდენიმე თანამდებობა
ერთათ.“

„არც ერთს თანამდებობის ამსრულებელს
არ შეუძლიან წელიწადში 30,000 ფრანკზე
მეტის მიღება (გარდა მინისტრებისა და შრან-
ციის წარმომდგენლებისა უცხო ქვეყნებში).
მომავლის ყრილობაში პალატა ამოიჩინეს
18 კაცს კომისიათ, რომელიც წარმოადგენს
პროექტს ზემოხსენებული ჯამაგირის რიგის
გასაერცილებლათ ყველა მმართველობის ჩი-
ნოვნიკებზედ. აქედგან დარჩენილი ფული
უნდა მოჰმზადდეთ ორსავე სქესის მასწავლებ-
ლებსა დასაწყის უკოლებში, ფოშტის ჩინო-
ვნიკებს, რკინის გზებზე მოსამსახურეებს, ერ-
თის სიტყვით ყველა იმათ უნდა მოხმარდეთ,
ვინც სახელმწიფოს ემსახურება და 1,200
ფრანკზე ნაკლებს ჯამაგირს იღებენ.“

„უნდა გაიხსნას სესხი 10,000 ფრანკამდე
იმისათვის, რომ დაიხარჯოს სწორე და აღ-
მაცერა ხარჯების გასინჯაზე; უფრო უმეტე-
სად იმისთვის, რომ შეიშუშონ პროექტი
მოძრავი ქონების ხარჯის დადებისა და ამავე
ზომით მეორე ხარჯების დაცოტავებისათვის.“

„სახელმწიფო სამინისტრო იშლება. ის
ფული, რომელიც ამ საგანზე იხარჯებოდა,
მიეთვლება ფინანსისა და შინაგანი საქმეთა
სამინისტროთა ანგარიშსა.“

„შტემპელის ბაჟი გაზეთებზე, სამუდამო
გამოცემებზე და სავაჭრო განცხადებებზე
აღარ ედება.“

„ჩუმი ფონდის სუფმა შემოაკლდება ორი-

დგან ერთნახევარ მილიონ ფრანკამდე.“

„ქვესი სამხედრო სამმართველო, რომელ-
ნიც დაიბადნენ იმპერატორის დეკრეტით
აგვისტოს 7-ს 1859-ში, მოიშლება იანვრის
პირველს 1870-ში.“

„იმპერატორის ს.სახლის და მშენებრი
ხელოვნების სამინისტრო მოიშლება. სხვა
და სხვა თანამდებობანი, რომელნიც ამ სა-
განს ეკუთვნოდნენ, შეეღვენ შინაგანი საქ-
მეთ სამინისტროში და სამინისტროში საზო-
გადო მუშაობისა, ეაქრობისა და მიწის ხენიაა.“

„იმპერატორის გეარდია იშლება და ჯარის
რიცხვიც ცოტადება 200,000 კაცამდე.“

„შველა დანაშაული ბეჭედის შესახებ და
აგრეთვე პოლიტიკური პროცესები განიჩნევა
დაფიცებულთა სასამართლოში (Судъ присяж-
ныхъ).“

„300,000 ფრ., რომელიც მიდის ჩუმი
რჩევის წყევრების ჯამაგირზე, სხვა საგნისათვის
უნდა დაიხარჯოს.“

„შველა განსაკუთრებითი კანონები, განსა-
კუთრებით ის კანონები, რომელნიც შეეხე-
ბიან საზოგადოების სიფრთხილეს (უენებლო-
ბას) გაჰუქმდებიან.“

— მფიციალურს ჟურნალში სწერია: „ძონ-
ფერენციამ რომ შეიტყო საბერძნეთის დათა-
ნახმება გარდაწყვეტილებაზე, მაშინ თავის
უკანასკნელს სხლამაში მსმალეთის წარმომ-
დგენს ჯემილ-ფაშას დადო ვლათ, რომ
კრიტიდგან გადმოსახლებულები უშიშრათ
დაბრუნდნენ უკან,—ასე რომ ოსმალეთის
მმართველობამ არაფერში არ შეაწუხოს უწინ-
დელი მოქმედებისათვისაო.“

პარიში. ამ ცოტა ხანში შრანციის მმარ-
თებლობამ ისპანიის მმართველობას ერთი თა-
ეზა გაუწია. რამდენიმე ისპანიის ემიგრანტებ-
მა ბურბონების ლაგირიდან აიჩრჩიეს სადგო-
მათ ბაიონი, ე. ი. ის ქალაქი, რომელიც ახ-
ლოს არის პირენეის სამხედროთან. რადგანაც
შრანციუსის მმართველობას ეშინოდა, რომ
თავიანთ სამშობლოს ახლოს ბაიონი არ
გახადონ ბურბონების საჭირო და საჯიბრო
ადგილათაო, ამიტომ უბრძანა რომ ყველანი
გადაასხან ლიმოჯში.

— „ჯარის“ გაზეთში ერთი სტატია არის და-
ბეჭდილი, რომელიც არდევს იმ მშვიდობი-
ანობის ხმასა, რომელიც ისმის მთელის შრან-
ციიდან. ეს სტატია რაცხს ომს მიუცილებ-
ლათ და თვედება შემდგვის სიტყვებით: „თუ-
მცა შრანციას არა აქვს მძინვარი აზრი, რომ
დაიჭიროს მიწები, და თუმცა არცა სწადს მე-
როპიული მშვიდობიანობის დარდევია, მა-
გრამ შეიარაღებას კი მაინც ვერ მოიშლის,
ამიტომ რომ იმისი სიძრიელე იმყოფება იმას
იარაღში; შრანცია არ იფიწყებს, რომ იმისი
ღირსება და სიმკვიდრე სდგას იარაღში, და
დაიცავს კიდევ თავის მნიშვნელობას მერო-
პიაში, რომელიც მოიპოვა თავისი იარაღით.“

ამ სტატიაზე Independans Belge-ი შემდგეს
შენიშვნას აძლევს: „ამ გაზეთს მარტო შრან-
ციაში რომ კითხულობდნენ, მაშინ არაიენ
გაჰკვირდებოდა ამ გეარს განძრახებაზე, ამი-
ტომ რომ ყველამ იცის, რომ სალდათს სულ
ომზე და იმის მოლოდინზე უნდა ელაპარაკდნ.
მაგრამ ამ გაზეთს სხვა სახელმწიფოებშიაც
კითხულობდენ და ამიტომ არა მგონია თუ სა-
ზოგადოება დაამშვიდოს ამ გეარმა სტატია
და სხვა სახელმწიფოების უნდობლობაც მო-
შალოს.“

ისპანია.

თებერვლის 27-ს. მფიციალურ გაზეთში
არის დაბეჭდილი შემდგევი სიტყვა მარშალი
სერანოსი, რომელსაც მიანდეს უმაღლესი
აღმასრულებელი უფლება; ეს სიტყვა სერ-
რანომ სთქო ძორტესებში:

„ზინდათ გაცოდინოთ მე როგორ მესმის
თქვენგან მონდობილი უფლება? მე ვრაცხ
ჩემს თავს მხოლოდ სამშობლოს მართალ
მოსამსახურეთ, და ამ პალატის ნების უმო-

ჩილესად აღმასრულებლათ. (d...
გ ი). რისთვის არიან უმაღლესი უფლებანი?
რისათვის არის უფლება veto? იმისთვის რომ
დამტკიცდეს ანუ არ დამტკიცდეს კანონები?
ზანა ქვეყანაზე შეუძლიან ვისმე არ დაამ-
ტკიცოს ის, რაც უმოქმედია დაამწესებელს
კორტესებს. (ბ რ ა ე რ). იმისათვის რომ ომი-
სა ან მშვიდობიანობის საქმე გადასჭრას?
ზანა არის იმ გეარი უფუნური კაცი, რომე-
ლიც დაიწყებს ომზე ან მორიგების პირობა-
ებზე ფიქრს დამაწესებელი ძორტესების დაუ-
კოთხავათ? ზანა იმას არ გეარდებოდა კალა-
მი ხელიდგან, როდესაც ის დააპირებდა ხე-
ლის მოწერას ამ გეარი დიდი მნიშვნელო-
ბიან გარდაწყვეტილობაზე სახელმწიფო უმაღ-
ლესი უფლების დაუკოთხავათ? თქვენ არ მო-
გიციათ ჩემთვის არა გეარი განსაკუთრებითი
ღირსება ზენარი უფლებისა, არც მო-
ნარხიული, არც რისპუბლიკური; და თუნდა
მოგეცათ კიდევ, მე მაინც არ მივიღებდი ამ
პატივსა. (ბ რ ა ე რ, ძ ა ლ ი ა ნ კ ა რ გ ი). უფ-
ლების ბოროტად მოქმედებისთანა ადვილი
არა არის რა, მერე როცა მხარეში არის აღ-
რეულობა; მაგრამ ეს მაშინ შეუძლებელია
როდესაც ხალხის წარმომდგენნი დიდი
და პატარა სულ ერთს აზრს სდევნი. მე რა
შემიძლიან ვქნა წინააღმდეგი? ზანა ჩემი ხა-
სიათი იმისთანა არის? ზანა როდესმე დამიშა-
ვებია რამ ამ გეარი? აბა მაჩვენეთ ერთი შე-
მთხვევა ჩემს ცხოვრებაში. მარდა ამისა, თუ-
ნდა შესაძლო იყოს წინააღმდეგის მოქმედე-
ბა, მაინც ვერ შევიძლიებ, ამიტომ რომ პა-
ლატის თვალსა და კონტროლს ქვეშ უნდა
ეყუო.

„შვალნო, ბედი და უბედურება ჩვენი სა-
შობლოსი—არის თქვენს ხელში. იცით რა-
ტომ არ შეიძლება ამ კრებაში კაცს ჰქონ-
დეს ერთი წუთი ორკოფი მდგომარება? იმი-
ტომ რომ აქ აღმასრულებელი უფლება სდ-
გას ხალხის წინ, რომელიც არის იმისი კან-
ონიერი და სასტიკი მოსამართლე. სადღა
არის მოტყუების საშუალება? სადღა არის მი-
ზეზი შიშისა? მართს კაცს არა შეუძლიან რა.
მაგრამ თუ ნახავთ იმისთანა კაცს, არ ეამბობ
უფრო ღირსეულს (თქვენ ყველა ჩემზე უფ-
რო ღირსეულნი ხართ), იმისთანა კაც, რომ-
ლის ხასიათში უფრო ბევრი არის თქვენთვის
სასარგებლო ღირსებაები, და თქვენი ნდო-
ბაც უფრო ძალიანა აქვს,—მაშინ გთხოვთ
მაჩვენოთ ის კაცი და გარწმუნებთ, რომ
პირველათ მევე გთხოვთ. რომ ის დააყენოთ
ჩემს მაგიერათ. მე მხოლოდ იმა დრომდინ
დავრჩები ამ ადგილზე; ვიდრე სასარგებლო
ვიქნები. მე არა მაქვს საკუთარი სარგებლო-
ბის აზრი. შველაზე დიდი ჯოღლო ის იქნე-
ბოდა ჩემთვის, რომ ამესრულებინა თუ არა
ჩემი თანამდებობა რიგზე, მაშინვე გაენთა-
ვისუფლებინე. მაღლობელი ვარ თქვენგან
ნდობისათვის. იმედი მაქვს, რომ ჩემი თანა-
მდებობის ასრულების დროს ხალხი იყოს ჩე-
მი სასტიკი მოსამართლე; უმატებ, რომ მეტს
ერთს დღესაც არ დაერჩები ადგილზე, როცა
საჭირო აღარ ვიქნები სამშობლოსათვის.“
(ტ ა შ ი ს კ ე რ ა).

დვუტატი სორინი თხოულობს სიტყვას
და ამბობს, რომ რესპუბლიკის წარმომდგენ-
ლებმა მარშალი სერანოსი სიამოვნებით მოი-
სმინესო და იმედიცა მაქვს მოქმედება იმისი
დარჩეს თანახმით თავის სიტყვასთანაო. მერე
სხდომა გათავდა. „Monitor Universl“ში
სწერენ, რომ საზოგადოებას მოეწონა სერა-
ნოს გარდაწყვეტილება შესახებ სამინისტროს
შედგენილების გამოუტყველობისაო. ვერაწ-
მუნებენ, რომ პროტუგალიის კაროლი შერდი-
ნანდი უარს არის ისპანიის გვირგვინის მიღების
კანდიდატობასაო და ამ ცოტას ხანს ძორტე-
სებმა უნდა გადასწყვიტონ ისპანიის ტახტის
საქმე შემდგვის პირობითაო: ან რესპუ-
ბლიკა, ან წარმომდგენლობითი მონარხია და

გერცოგი მონანსიეც უნდა ტახტზე იჯდესო.
 28-ს თებერვალს. შევლა გაზეთები თანახმა არიან, რომ გერცოგი მონანსიეს კანდიდატობა უფრო დამკვიდრდა მას შემდეგ, რაც პარტუგალიის შერდინანდმა დაიწყო უარის თქმა. ამ საგანზე დათანხმებულან ერთათ პრიმი, სერანო და ტაპეტე, რომელთაც პირველშივე ეჭირათ ამ კანდიდატის მხარე. მონანსის პრინციცი ურჩევნ თავიანთ ნათესავს, რომ ისპანიის ტახტი აიღესო; მრისტიანა კოროლევეც ამ გვარსე რჩევას აძლევს, რომ თუ უფროსი ქალისათვის არა, ეგები უმცროსისათვისაც არის ღირსე ტახტიო. მაგრამ ღონ—პარლისის მომხრენი აპრობენ მაშინვე ბუნტი მოახდინონ, რაწამს დანიშნენ ვისევე ოფიციალურ კანდიდატათა.

მოდრაობაში ბარკლონში, რომელიც მოხდა ღამით 23-დან 24 რიცხვზე, კარლისტები არ ერინენ. ბაზეთები გვარწმუნებენ, რომ ზამ მოძრაობასა ჰქონდა „კომუნისტური“ ხასიათიო. მოჯანდენი, რომელთა რიცხვი 400 მდე იყო, გაეყოთ ოთხთათო; მაგრამ იმათი წინამძღვარი მირალტა და იმასთან ჰმ კაცოც მაშინვე დაეჭირათ თავისუფლების ვოლანტერებსა და აღრეულობა მაშინვე უსისხლოთ გათავდაო. მეორე ცნობებიდან კიდევ გვესმის, რომ მუშებ საზოგადო სამუშაოების მოკვეთის გამო სამუშაო შემოაკლდათ და ამიტომ მოახდინეს არეულობაო.

მარტის 1-ს. დღეს გაზეთებში არის გამოცხადებული ბრენადიდგან ტელეგრაფმა, რომელშიაც აცხადებენ, რომ გუშინ რამდენიმე კაც დაეცა სობორის ბალკონზე იქაურს არქიელსა და მიმით დასტრესო. მიზეზი და მნიშვნელობა ამ ხალხის მოხდენილებისა ჯერ არაინ იცისო.

მადრიდი, თებერვლის 23-ს. ჯერ აქამდის რესპუბლიკის პარტია იყოფა ორათ, მაგრამ მინც ძალიან არ ერჩივიან ერთმანერთსა. პირველი რესპუბლიკის წინამძღვრები: მონანსიე, შიგვერას და გარრიდო ამყარებენ თავიანთ იმედს მხოლოდ მოხდენილების ლოლიკაზედ (აზრზედ), თავიანთ საქმის სიმართლეზე და პარლამენტის მოძრაობაზედ. ახალგაზრდა და განსაკუთრებით ფიცხელი ანდალუზელები უფრო დიდრონი ქალაქების რესპუბლიკურ მიმართულებისაგან მოკლიან კეთილსა, და დარწმუნებულნი არიან, რომ მხოლოდ საერთო ომი მოჰქვეთს „გენერლების უფლებასაო“. ეს პარტია შედგა იმ დროში, რომელიც იყო დარჩომილი აღმორჩევასა და კორტესების ყრილობის შუა. ამათ გამართეს თითქმის ყველგან კლუბები, რომლებიც ერთმანერთს მალმალ ხედებიან; აქა გროვდება ბევრ წილზე 25 წლის ახალგაზრდები, რომელნიც არიან გამორიცხულნი აღმომრჩევლობისაგან. შედგენილია საკუთარი კომიტეტი, რომელიც უყურებს რესპუბლიკის დებუტატებს და ზოგჯერ უცხადებს ნდობას, ზოგჯერ უნდობლობას. პირველი ადგილი ამ კლუბებში უჭირავს მარტენის კლუბს მადრიდში. მაგრამ ზოგიერთ რესპუბლიკელებს ჰგონიათ, რომ ჩვენს წადილს სიტყვითაც (ქადაგებით) ავისრულებთო. მართი იმათ ორატორთაგანი, მასტელიარი, გუშინდელს სხდომაში, რომელზედაც დროებითი მმართველობა თანამდებობას სტოვებდა, ცდილობდა დემტყვიებინა, რომ მანარხისტებმა თითონვე დაუშალეს ისპანიაში მონარხის გამართვას, რადგანაც ბურბონები ჩამოგდეს ხარისხიდანაო. ამასთან არწმუნებდა ახლანდელ თვე ხალხს რომ იმათი ახლანდელი მდგომარება უფრო მკვიდრი იქნება რესპუბლიკური მმართველობის დროს, ვიდრე მანარხისტისაო. რესპუბლიკური პარტია ამ დღეებში აპრობს იმ გვარი აზრის შეტანას, რომელიც დაუშლის მანარხისტებს თავიანთი განხრახის აღსრულებას; ამათა

ჰყავთ ამორჩეული ერთი კანდიდატი და ეძახიან უნიონისტებს. ეს აზრი ის არის, რომ პორტესები იყენენ მოვალენი უმთავრესი უფლება მისცენ ისპანიელს, რომელსაც დედამამა ისპანელები ჰყვანდეს.

ოსმალეთი.

მოსტანტინოპოლიდან გაცნობებენ, რომ ოსმალეთის მმართველობა ძალიან ცდილობს კანდიდელების უკან დაბრუნებისთვისაო: ამათთვის გზაენის გემებსა და ფულს ქრისტიანების სახლობის მისაშველებლათ; გარდა ამისა ყველა თანამდებობათ მისწერა, რომ არაფერი შეუწყება არა მისცენ რა უკან დაბრუნებულთ კანდიდელებს და არც იმათ სახლობას. მმართველობამ მისწერა, რომ ინსურგენტებს თავიანთი ქონება უკან დაუბრუნეთ და იმათი დანგრეული სახლებიც ააშენეთო; გარდა ამისა სწადს გამოსცეს საერთო პატიება (ამნისტია).

მოსტანტინოპოლი, 20-ს თებერვალს. ოსმალეთმა ძლიერ გაათავა კანდიდელების აჯანღება და მაშინვე დაიწყო იმ გვარი მოქმედება, რომ უთოთ არევის სხვა ოსმალეთის ნაწილსაც. სმირნის გაზეთი „Impartii“ ი გაცნობებს, რომ ოსმალეთს სწადს სამოსსა და სხვა სპირადის კუნძულებს წაართოს ის პრივილეგიები, რომელნიც აქამდინა ჰქონიათო. არხიველავის გუბერნატორს მისელია კიდევ ბძანება, რომ სამოსში შეიყვანოს ოსმალეთის ჯარი. ამ გვარი მოქმედების მიზეზი არის ისაო, რომ ვითომც ეს კუნძულები არ იცადენენ საეპრო პირობებსა, რომელიც საბერძნეთთან იყო დადებულიო; გარდა ამისა შევლოდნენ კანდრანდის ეპრობას ანატოლიის ზღვის პირებშიო.

საბერძნეთი.

ათინა, თებერვლის 25-ს. ბაზეთი „ათინის მოამბე“, რომელიც ახლა ითვლება სამინისტროსი და ზომიერი პარტიის გაზეთათ, ძალიანა ჰკიცხავს ბულგარისის სამინისტროსა და იმის დამლუპავს მოქმედებასა. ეს გაზეთი ბულგარისს იმაზე კი არა ჰკიცხავს, რომ ის იყო წინააღმდეგი ოსმალეთის ულტიმატუმისა, — ისა ჰკიცხავს იმაზე, რომ ამ წინააღმდეგობამ ვერ იშოვა ჯეროვანი მომხრე ვერც საბერძნეთის ხალხის დაიარაღებაში და ვერც იმის ფულში. ის ჰკიცხავს ბულგარისს იმაზე, რომ მხარე ამისთანა უბედურებაში და უსაშუალობაში თითონვე შეიყვანა და მერე გაჭირების დროს დაანება თავი. „ათინის მოამბე“ ამბობს: „როცა მოვიდა გაჭირების მიუტოო, მაშინ კასები ცარიელი და გეგდენო, არსენალებში თოფიარაღის მაგივრათ, რაღაც ძველი რკინა ეყარა და ჯარშიაც აფიცრები უფრო ბევრი იყო, ვიდრე სალდათებო. ჯაშინიანი გემების მაგიერ, რომლებზედაც საქვეყნოთ ლაპარაკობდნენ, ჩვენს ნავსადგურებში რაღაც ნახევარე დამაალი ძველი ნაევი ეყარა, და მოკავშირეთა მაგიერ, ჩვენ შევხედით მთელი მეროპის კოალიციას, რომელნიც შეერთებულნი იყვნენ ჩვენდა ამტროთათა. თავისი მასაგერიებელი საშუალებით ბულგარისს საქმე იქამდინ მიჰყვანდა, რომ ოსმალეთის ჯარი ჩვენს სამძღვრებზე უომრათ გადმოვიდოდა და სატახტო ქალაქსაც თოფებ დაუტყველათ დაიჭრდაო. იმ სამუშაო გარემოებაში, რომელშიაც მიიყვანა ბულგარისმა თავისი თავი, სხვა აღარა გაეწყობოდა: — უნდა მოეწერა ხელი პარიჟის კონფერენციის გარდაწყვეტილებას და გაქვეულიყო. მაგრამ იმის მაგიერ იმან დასტოვა მხარე და კაროლი უკანასკნელი გაჭირების დროს და ექიშებოდა კიდევ იმათ, ვინც თავიანთ თავს არა ზოგავდა სამშობლოსათვის. იმას, რასაც ბულგარისი მგავის დათხოვნას, იმას ისტორია და არქივებს მშობრობითსა და სასირცხვილო დალატსა. მერე „ათინის მოამბე“ ამბობს: — თუ მკითხველებს ჰსურთ ცოდნა იმისი, რო-

გორ იმოქმედა ხალხზე ბოლოდღეობა მოხდენილებამ, მაშინ ჩვენ ახსნით შემდეგის მაგალითითა. მიღებულ იყო ერთი ძალიან სასტიკი ფაშა, რომელიც აწელებდა ხალხს, მაგრამ მოხდა მიწის ძვრა და ფაშაც სხვებთან დაილუბა თავის დანგრეულს ქოხში. ხალხმა აკურთხა მიწის ძვრა. თუ ჰგონიათ, რომ ახლა ჩვენ იმ ვირის როლს ვასრულებთ, რომელიც სწიხლავდა მომაკვდაც ლომსა, მაშინ დიდათ სცდებიან. ჩვენ უწინაც ამ აზრებსა ვლაპარაკობდით, რადგანაც სამინისტრო იყოფებოდა თავის კარგს მდგომარებაში და ღონეში; როდესაც ეს სამინისტრო უსირცხვილოთ რეკდა ძანდიის დებუტატებს, ღვარცილია კასებს; როდესაც საბრალო პეტროპულაკის გზავნიდა ძინდაში, რომ იმისი ქალა გავხდნათ საგინებლათ. ჩვენა ვკიცხვდით იმას მაშინ, როდესაც იმან ჩვენი ნავსადგურები დაანება მობარტ-ფაშას. სრცენიდა ჩვენს ბანკებს, დალუბა ძანდიელების საქმე, და ჩვენ კიდევ ვხვებ და ხელზე გაკრული მიგეცა მეროპის დიპლომატიურის სასტიკობის ხელში.

ბარდა ამისა „ათინის მოამბე“ დიდს სიამოვნებით გვაცნობებს იმ ამბავს, რომ ახლანდელი სამინისტრო, რადგანაც არ უნდა რომ თითონ დაპბრალდეს რამ უწინდელი საქმეების წხდენა, უწინდელს სამინისტროს აძლევს პალატას, რომ ამან მოსთხოვოს უწინდელი მმართველობის ანგარიზი.

ათინა, თებერვლის 25-ს. ამბობენ ახლამა ფინანსის მინისტრმა იანგარიზა და ამოხდაო, რომ ბულგარისის სამინისტროს დახარჯამ 2 1/2 მილიონი დრახმი საზოგადო ფულიდგანაო; ამ ამბავმა საზოგადოება ძალიან ჯავრზე მოიყვანა; ამბობენ ზაიმისის სამინისტრო აპრობს ბულგარისისა და იმის ამხანაგების სასამართლოთი დენასაო. ახალი მხედრობის მინისტრს გადმოჰყავს ოსმალეთის სამძიერებიდან ჯარი და უნდა ბერი სალდათებიც დაითხოვოს უფადოთაო. ზაიმისის სამინისტრო აპრობს ბულგარისისაგან დანიშნული პრეფექტების გამოცვლას, და ამ ადგილს აძლევს თავის მომხრეებს. — ანგლიის ზღვის კაპიტანმა პიმმა უთხრა საბერძნეთის მმართველობას, რომ მე მოეწყობა თქვენს ჯაშინანს ფლოტსაო. — ამ უკანასკნელი ძანდიის ცნობებიდან ჰსჩანს, რომ ინსურგენტები სინამდლოლს ძორაკაუს და მორჩილებია ოსმალეთს თებერვლის შეიღს, და სფაკიანაკის რამდენიმე დღის შემდეგ. შემდეგ ძანდიამ დაარსდება სრული სიმშვიდე. მაგრამ ჯერ აქამდინაც 30,000-მდე გადმოსახლებულნი არ დაბრუნებულან კუნძულზე.

შევლას მოსწონს ის სიმართლე, რომლითაც საბერძნეთს სამინისტრომ აღვიარა საბერძნეთის ჯარის სისუსტე. საბერძნეთმა ოსმალეთის მუქარებისაგან არ დაიშალა ომიანობა; არც თუ პატივი დაუდგია უცხო სახელმწიფოთა რევისათვის; საბერძნეთი დაპყვა მხოლოდ ვარემოებათა ღონეს. იმისი სიევაკაცე, იმისი პატრიოტობა და ძმური სიყვარული ოსმალეთის ქვეშევდომთ ბერძნებთან დარჩა ისევე შეურყეველათ და შეუხებლათ. მაგრამ საბერძნეთს აკლია თოფები, საგაძლი, გემები — ამითა ცხადდება იმისი სამინისტროს და გონიერთა ხალხის დაყოლა. აი ამისათვის იყო, რომ იმათი ბთხილი კოროლი წინააღმდეგობდა ხალხის აღტაცებულებასთან. ლავლეტთან წიგნის გავზავნის გარდა, საბერძნეთის სამინისტრომ გაუფზავნა რანდაბეს მემორანდუმი, რომელშიაც გარემოებით აღიწერება ყველა ამბები, რომელნიც ლავლეტის წიგნში გაკერით მოიხსენებია. ამ მემორანდუმში საბერძნეთი თხოულობს კანდიდელების საქმისა და აღმოსავლეთის ქრისტიანების მდგომარების გარემოებითს გამოკვლევასა. ამისი აზრი ის არის, რომ გარეშე სახელმწიფოები დაათანხმოს იმ

გვარს მოქმედებაზედ, რომელსაც შეგვიძლია განთავისუფლება მშვიდობიანობით, რადგანაც განთავისუფლება აღმოსავლეთის ქრისტიანებისა შეიძლება გადაიღოს საშემდეგოთ და დაეწყებთ კი არას დროს არ დაიეწყება.

ამერიკა.

— როგორც ამერიკის გაზეთები ამბობენ, პრეზიდენტ ჯონსონს არ უნდა ბოლიტიკურს მოქმედებას თავი დაანებოს, როგორც იმისი წინა პირნი იქცეოდნენ, და თავისი პოლიტიკური მოქმედება უნდა მაშინგტონიდან ტენესსაში გადაიტანოს. ამ შტატში უნდა დაიჭიროსო დემოკრატიული პარტიის კანდიდატობა გუბერნატორობისათვის, და თუ აქ ვერ ამოიყრის ჯავრს თავის რესპუბლიკურ მტრებზედ, მაშინ აპრობს გახდეს სენატში დემოკრატიულ პარტიის წინამძღვრათ და აქ მინც ამოიყრის ჯავრს თავისი მოურავებელი მტრისას, — რადიკალებისას, რომლებმაც ჯონსონი მისცეს სასამართლოს; ეს აგრეთვე მოიგონებს ყველა წყენას, სირცხვილს, რომელიც ამ პარტიამ მიაცენა. მართი ტენესსის გაზეთი ამბობს: „ჩვენ დარწმუნებული ვართო, რომ რას წამს ანდრი ჯონსონი დაბრუნდება აქ, მაშინვე რადიკალებთან ასტყეს ისეთს ჩხუბსა, რომელიც ჯერ არც ერთ ტენესსის პოლიტიკურ პარტიას არა ჰქონდესო.“ ჯერ აქამდე უფ. ჯონსონს კონგრესის წინააღმდეგობისათვის თავი არ დაუწებებია; ამ გეგრათ ამ ცოტას ხანში დაადო თავისი „veto“ სპილენძზე ბაჟის ბილსსა, რომელიც ახლა მეორეთ დაამტკიცა ორთავე კონგრესის პალატებმა და რომელიც გახდა კანონათ, თუმცა პრეზიდენტის „veto“ ედო.

ტელეგრაფები

(პეტერბურღში მიღებული)

პარიში, თებერვლის 17-ს. ლამარტინი და სენატის თავს მჯდომარე ტროლონი გარდაიცვალნენ.

ბუხარესტი, თებერვლის 20-სა. აქაური მმართველობა სასტიკოთ ექცევა ტყუილი ამბების გამრცელებლებს. თუმცა შრანციის ელჩი უჩიოდა ამ გვარ სასტიკობასა, მაგრამ პოლიაკი მუნინი გაავდეს რუმინიდგან და სამძღვარს კანვოით გააცილეს.

უშალს გერმანიიდან წიგნის მომწიქარს *

წერილი თქვენი ოდესცა მივიღეთ დიდის სიამოვნებით, ვისწრაფდით კითხვას. მდეს წავიკითხეთ რამდენიმე მუხლით სიამოვნის ნაცვლად ენიხლეთ სამუშაო მოთხრობა; ველოდით ახლის დროის ყმაწვილის კაცისაგან და ორის სატახტო ქალაქის კურსოენიკისაგან და ბერმანიაში მოგზაურისაგან სასიამოვნო სტატიას. ნაცვლათ ამისა ენიხლეთ მირევისამორევისა, ქათის-მონდისა შილაფლაისა, ესე იგი, როგორც განსვენებული ივანე გლახა მოგვითხრობდა ხოლმე. უშალო, თქვენ მაგდენნი კეთილნი ნასწავლნი ხალხნი იხილეთ კეთილს ზნეობაში და კეთილს მოსახლობაში დახელოვნებულნი. ნაცვლათ იმისა, რომ ის აგეწერათ და გეცნობებინათ ჩვენის მიძინარე თვალ აუხილებელის ხალხისათვის, თქვენ აგიწერით რაც ძველის დროს ცხოვრება იყო. მე ხომ ჩვენც ვიცით, ან რუსთაველს რაც

* ეს სტატია ჩვენებურის სტატიის პასუხია და როგორც მკითხველი ნახავს, ეკუთვნის ქალის კალამს, რომლითაც ის წარმოგივდგენს თავის აზრს, რა აზრაც ჩვენებურის სტატიის კითხვიდამ გამოუტანია. იმედი გვაქვს, ჩვენი პუბლიკა მკაოფილი დარჩება ამ სტატიით და ჩვენ ქალებს, რომელნიც კითხვას კაცებზე მომატებულათ მისდევნენ, გაამხნევეს ასე, რომ ხან და ხან თავიანთ აზრს აცნობებენ „დროებას“. იმედი გვაქვს აგრეთვე, რომ თვით ჩვენებური ამ სტატიის უპასუხოთ არ დასტოვებს. რედაქცია.

აუწყრია, ან ძათალიკოზს როგორც მიუღია მეფის-ტყაოსანი. ოქვენ ძალიან გულ-დამწვარი ბძანებულხართ ქალთაგან, რომ ეს ორი ნომერი „ღროებისა“ ავიხიოთ ხელ დალაღებზედ პირის — შუშტაკზედ, შინიანზედ; ამასაც უმატებთ, რომ რაქმანა მოზობლებმა თუ იმგვარის დახატვის ნება არ მისცესო, ზოგს თავი აქვს მსუბუქიო, ზოგს ნესივით გრძელიო, თავთ ახლანდელი გავდილი ქალნი არა თხოვდებიანო, მკლევდებიანო, ფერი აკლდებოთო. რა საკვირველია, თუ თავიანთ შესაფერსაც არ შეხვდებიან არ გათხოვდებიან; ვგონებ უმჯობესი იყოს გაუთხოვრობა, ვიდრე საუკუნოდ ტყვეობა უმგზავს ქმართან; ვგონებ თქვენც არა ჰყოთ უარი თუ თანა მემცხვდრე არ შეგხვდებით თქვენის აზრისა; თორემ ახლანდელი ქალნი უფროსნი ერთნი ისე მალა დგანან სწავლაში და კეთილ-გონიერებაში ჩემის დროს ქალებზე, როგორც რუსთაველი არის პოეტებში, ასე რომ შეიდასის წლის განმავლობაში იმის მგზავსი აღარაფერ მოზობილა. მოიმედენნი ვართ, რომ მომავალი ქალნი უკეთესნი იქნებიან. ბარდა ამისა თქვენ ამბობთ პნტონი ქათალიკოზი მოგვითხრობსო, რუსთაველის თხოვლებს მიბაძესო ქართველთ ქალთაო, რადგანაც ნესტან-ღარეჯანს აქვს შავის თვალ-წარბით, მარგალიტით მიწობილის კბილით, ლალის ფერის ზავით, აგრეთვე ხალხით, რადგანაც ეს ღირსება არაფერ ჰქონდაო, ამისათვის მოიგონეს თვალ-წარბის ხატვა და შუშტაკის ხმა რებოა. მეც არ უშლის ქალთა, თუ ჰხედვენ თავის სახეში ნაკლულედიანებს და შეისრულებენ, აი როგორც ესთქვათ, კარგი ფარჩა ვეყიდოთ და ის კარგად მკერალმან არ შეპკროს და არც ისე შეხამოს, როგორც შევინის იმ ფარჩას; რაც უნდა ლამაზმა ქალმა ჩაიცვას, ისე არა შევინის, რადგანაც შეუხამებელია და უმგზავსათ შეკერილია; ისე ქალთ ანუ კაცთ თუ აკლია რამ სახეში, უთუოთ რაღაც გესანიჩრებათ და არ გესამოვნებთ. თუ დაიფარავს იმ ნაკლულედიანებს და გამოჩნდება სრულს სახეთ, ეაქვს და არ ეძაგებ იმის ხელოვნებას. ანაბოთ, ცხენებს კულები დასჭრეს, ფაფარი გაუკრიჭესო; ისინი გააკეთეს, შეღებეს, ადამიანის თმას მიამსგავსეს და მილიონისა გაყიდესო. შაბაშ მათ კარგს ხელოვნებას, რომ უბრალო ძუა ფაფარი ფასად გასელიათ. მინძლო, ჩემო ძამივე, შენც მაგათვან კარგი ხელოვნება რამ მიიღო და გეასარგებლო; ხომ იცით, ჩვენი ქვეყანა რამდენად რამდენი მამულითა სხვა და სხვა მცენარებით, მარამ რადგან არ ვიცით შემუშავება ვერც მოგვიხმარებია და ვერც ესარგებლობთ რიგინათ; იმედი გვექნება, რომ მობძანდებით, ჩვენც მაშინ გეასწავლით. ახლა მოპყვებით კატის ანაბეს, ძათალიკოზისაგან დიდ ოთხშაბათს მეფის-ტყაოსანის ჭიკაძის დანთებას და იმ დღის კუდიანების განსადგენათ სადღესასწაულოთ დაწესებას. მაი შენ ძათალიკოზო, რომ ამისთანა ლექსში შენ გახსენებენ! ახლა ანაბოთ, რომ დიდს ოთხშაბათს ეშმაკები კატებზედ სდებიანო და ისე დაჭენებენო. მე ძალიან ძველი ანაბეია: იმდროსი ქვა-ქაზედაც აღარ არის, არამც თუ თქვენ თქვენს პატარა ბიჭობაში გენახათ, როგორც ანაბოთ და გეაკვირებთ, ჩემს პატარა ბიჭობაში მასხამსო, რომ ჩვენი შავი კატა ძლიერსა მოვიდა დალაღულ-დაქანტულიო, ამდენი ეჭვენებინათო ეშმაკებსა და ამასთან რასაც ლექსებით ხსნიო, მე არ ვაკადრებ ჩემს კალამს, რომ ამ სტატიაში მოვიხსენო ის ლექსი; თქვენკი ამტკიცებთ, რომ მე ახლაც მჯერაო, რომ ეშმაკებს ეჭვენებინათო. იქნება თქვენ თითონ იჯექით იმ კატაზე და იალბუზზედ გაფრინდით, რომ აგრე დაჯერებული ბძანდებით. და თუ ეს მართალია თქვენის

სიტყვით, მაშ უფალი ბერივეის პოეტობა სწორე რატო არ უნდა იყოს და რისთვის არის აფსუსი ის წოდება პოეტობისა ანუ ხაზარდის გამო კარის ჩარხის; ამოღება ანუ მუხლის მოწყობა ხაზარდის თავზე დასურვა და ჩოქილს კაცზე. უფალს ბერივეის რაც ლექსი დაუწერია ყოველს ლექსს აზრი ჰქონია და არა აბდა-უბდა და თქვენი კატა—სკუბდა ყოფილა. უფალი ბერივეი რომ ამბობს ხაზარდით ქალი კარებში გაიჭედო, აი რაზედ ამბობს: რომელი კაცის ცოლიც მოინდომებს მიბაძვას ჩაცმა დასურვაში თავისზედ უმაღლესის შემძლებელის კაცის ცოლზედ, მაშინ ქმარი ეტყვის: ჩვენი კარი პატარა არისო, ჩვენ სახლში ვერ გაეტყვაო; და ის ხაზარდაც იმისთანამ ჩაიცო, რომ კარი პატარა მოუვიდა და ხაზარდით ვერ შევიდა. ახლა, ჩემო ძამივე, ამ ჩინჩერების მოკრეფას თავი დავანებოთ და თქვენც თუმცა ბოლოს მიხვედარხართ, რომ გაიკიცხებოდით, ვგეც კარგია რომ მოგვანებიათ. მართალია, თქვენ ახლა იმყოფებით ბერძანაში; თქვენ მანდ ნახადით მრავალს კეთილს ზნობას ქალთას და კაცთას, სხვა და სხვა ხელოვნებას, რომელიც საჭიროა ჩვენის ახალ მოსწავლე ხალხისათვის—როგორ სწავლებენ ბერძანელები. ესე იგი, ქალნი როგორ სახლობდნენ, თავთაფიან ქმარ-შვილებს როგორ უძღვიან, თავიანთის ხელსაქმით შეიღებენ როგორ აცმევენ სასამოვნოთ, ანუ ქრებები, ძმანი, შვილნი როგორ მუშაობენ და ეხმარებიან ერთმანეთს, როგორი თანხმობა აქვთ ურთიერთში. მაგათაც აქვთ შესაქცევარი ალაგები, სადაც შეიკრიბებიან ყველა თავის სახლობით; იქ იკვრის მუხიკა; ზოგნი წაიღებენ ზაკუსკას, ქალნი ხელსაქმეს; ისინიენ სიამონის ხმას მუხიკისას; არც ხელსაქმეს სცდებიან, არც კმაყოფილებას აკლდებიან. იქ იხილვენ ნათესაობასაც, მეგობრთაც: აი თქვენი საგანი რა უნდა იყოს. ოქვენ ყოველივეს უნდა გამოგვიხატოთ, რომ ჩვენმა ქვეყანამაც ოდესმე მიზაძის მაგვარს ძვირფასს ზნობას და ცხოვრებას: თუმცა ახლა სიყმაწვილით გაურკვეველის და დაბნელებულის დროს ანებებს მოგვითხრობთ, ცუდათ დამწერლანართ. ბულმტკიენეულთ ვწუხვარ ამდენს მოგზაურობის შრომისათვის; მაგრამ მაქვს იმედი, უთუოთ შემდგომში კარგს წიგნს მივიღებთ და სასამოვნოთ წავიკითხავთ.

მართლელი მოხუცი ქალი.
1869 წელსა
5 მარტს, ქ. თბილისით.

ს ი ტ ყ უ ა ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო დ სა უ წ ყ ე ბ ე ლ ი წ ი გ ნ თ ა ქ ა რ თ უ ლ თ ა ბ ე ქ ე დ ი ს ა - გ ა მ ო პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს ა, „ღ რ ო ე ბ ის“ გ ა ზ ე თ შ ი 9 ნ ო მ ე რ - შ ი, — და მ ა რ ტ ის „ს ი ს კ რ ის“ ჭ უ რ ნ ა ლ შ ი.

შპირატეს ხელ ყოფისა, არა უადგილო იქმნებოდა მკითხველთათვის გამეცნობინებინა ჩემი თავი, ვგრეთვე მაშაპაბით ჩამომავლობა, რომელიც მართლათაც ერთ არაკად გამოდგებოდა, როგორათაც იციან მოხუცებულთა, მაგრამ მკითხველთა თავის-შეწყინებისა გამო არა ვრაცხ საჭიროდ, მაგრამ ესთხოვეთ ამა ორიოდ სიტყვაზედ არ გამოწყრენ, თუმცა ვატკობ უხერხობას, გარნა როგორათაც მოხუცებულს მომთმინეთ სულგრძელებით.

ამის წერაში ჩვენც დიდათ განცვიფრებაში გახლდით თუ როგორ ებედადით ამას, მაგრამ წინამდებარე მიზეზი არა თუ მე მომავონებდა ჩემს ძველს ჩალის კალამს არამედ მკედარსაც გააქნევინებდა ფხებს.

რალა ბევრი ვილაპარაკოთ, ჩვენ „ღრო-

ბის“ გავთეში ამ წინაზედ წავიკითხეთ მართლა ფიქრით მშვენიერი სიტყუა ანუ ქადაგება უ. იოსელიანისა, ერთი კვირის შემდეგ ის შეგეხვებოდა „სისკრის“ ჟურნალშია; ისე ერთბაშით გავგაოცა, რომ სიხარულზედ მეტი შეიქმნა, ამისთვის არა უადგილო იქნება გაცინჯოთ; პირველად ხასიათი მწერალისა მიხედულობისა-გამო „სიტყვა“ მიკოწიწება ძალათ ერთი ერთისადმი სიტყვებისა, ქება და ღრამბატკული ანუ რიტორებრივი წყობილება.—მაგრამ ჩვენ ამეებს დაწერილებით არ გამოუდგებით, ჩვენ, მკითხველებს იმის სიტყვას წინა-დაუგებთ და მაშინ ვგონებ თეთოთაეულმან ჰპოვოს ზემო თქმულნი.

მე ნამდვილად პირუთნებელად განუცხადებ ყოველთა რომ, არ მესმის ამა სიტყვისა არა რა, მხოლოდ ვიცი 500 მანეთი სურს ბექედისათვის ქართულთა წიგნთა.—ამისთვის ესთხოვ საზოგადოებას განმიმარტოს ვის ჰყვედრას ანუ ვის ეუბნება მქადაგებელი? აი ჩემი ფიქრით, იგი ეუბნება ქართულთა, და ჰყვედრის მერობის მეცნიერთა ასე:—მეცნიერნი მერობის ჰყვედრიან ძტსლთა და მაშა პაპათა თვისთა დაუდევნელობასა წიგნთა გამო.—რომელნი მეცნიერნი მერობისა, ნუ თუ ზოხტი, ჩენანი. ძატრჭარაჟი, ჭივირბაზი და სხვანი.—მაგრამ იქნება ტფილისი და საქართველოს ნაწილიც მერობაში ვგონოს მქადაგებელს?—არ ვიცი. ტოჩის შემდეგ—ქართულთა მწერლობა ძტსლი, წინათ ქრისტესა წყობილი და ქრისტიანობისა შემდგომ განვრცელებული, „შპ რა ქართულია! ძრისტეს წინათ წყობილი (ნაცვლად) ქრისტეს შემდეგ განვრცელებული—ქრისტიანობის შემდგომ განვრცელებული, უთუოთ გათავებულა ქრისტიანობა და ახლა ქართული გავრცელებულა.—შენა ქართულთა ეკლესიისათვის ქრისტესა შემზადებული“—როდის შემზადდა? იქნება ჰაოსის ძამი მართლთაში, იმისთვის არ ილაპარაკა უფროს ძმის ენაზედ, რომ ეკლესიისათვის ქრისტესა ეგულბობოდა? ანუ შარანოზმა გააწყო მხედრული ანაბნი მისთვის?—ზანეზარტა მქადაგებელს კარგი იქნებოდა. „შენამან ამან დაბადა ენა რუსთაველისა...“—როგორ? შენა ენას როგორ დაბადებს, არ იცოდა რუსთაველმან ვანა ლაპარაკი?—შეიძლება ენამან მწერლობა დაბადოს, და ენა კი არა.—შითარცა მცოდნე, ვიტყვი გაბედით, ლათინთა ენისა ბერძულისა და რუსულისა, ვითარცა მთავართა ენათა. აქედგან ცხადად ჰსჩანს, რომ მქადაგებელს ჰსცოდნია მხოლოდ სამი ესენა, და ქართული კი... მაშა განხილვასაც თავი მივანებოთ, ჩვენ ეს არ წაგვეკითხნა, მაგრამ ეჭვანობთ ბარე ბოლომდინ რა სურს მქადაგებელს.—„მართა დიდთა ეკლესიათაშს შემზადებულთა, რომელ ენა ქართულთა მრავლით უმცირესი ბერძულისა, არის მრავლით უმაღლესი ორთა სხვათა, (რუსულისა და ლათინურისა) მხოლოდ ეკლესიურისა მწერლობისა გამო, აი აქ როგორი უსამართლო ჰსჯა ჩანს; ამ ადგილს რუსულს

და ლათინურს ერთათ ასწორებს, მაგრამ ჩვენ ზვეით ტრიქონს თავი დავანებოთ—უმცირესი თუტსლთა, ეკლესიისათვის ქრისტესსა შემზადებული უმეს და უკეთესად რომაელთა ანუ ლათინთა ენისა“. რუსული რალა იქმნა ამასთან, რომ ჰფარავს მქადაგებელი, ალბათ იფიქრა უმჯობესობა მისი, მაშა აქ მაინც რალათ იტყვის ესრეთს აზრსა და ასწორებს ორივეს ერთად? მაგრამ ჩვენ ესთქვათ უკანასკნელ ტრიქონებზედ, აბა ერთი გამოიანგარიშეთ მკითხველნო, მე კი არ შემიძლიან, ამ სიტყვებზედ. „შენა ქართული მრავლით (შენიშნეთ) უმცირესი ბერძულისა არის—მრავლით, (შენიშნეთ) უმაღლესი ორთა სხვათა“—ქართული განათავისუფლეთ—ახლა შეასწორეთ ლათინური და რუსული ბერძულთა; როგორს სიმცირეს გამოაჩენს, ასე რომ მცირე წერტილსაც არ შეადგენს და ასე არ შეიძლება ჩვენ სიმართლედ მივიღოთ, ამისთვის რომ, ვგონებ ყოველთათვის არის ცნობილი რომ ეკლესიური საგნები, უფრო ნამეტნაობენ ლათინთა და რუსთა ენათა ზედა ვიდრე ქართველთა. მშვიდობით ბრძანდებოდეთ მკითხველნო, ზოგი შემდეგისთვის გახლდეთ.

მანსწავლული კათოლიკოზი პნტონი პირველის, ღრამბატკითა, რიტორებითა, კატელორითა, ჭილო-სოფითა, და ლეთის-მეტყველებითა ღრმად მოხუცებული, დ. მარტის 5-სა 1869 წ. ს. მკოყანა.

განცხადებაები.

ჩაშდენ ბაღიანიძეს
აქეს პატივი რათა აცნობოს პუბლიკას და თავის მუშტრებს, რომ იმან გახსნა ახლათ ბერძნული მალაზია ბულვარზე. შიოვეის სახლში, მე-13 ნომერში, რომელშიაც გაჰყიდის ძალიან იაფათ კოლონიურ საქონელსა, ძიახტის ჩაისა, უცხო ქვეყნების სასმელებსა, ყველა სორტის შამფანცკსა, რომსა, ლიკორსა და სპირტის სასმელებსა; აგრეთვე კახურ ღვინოსა. აქვე იშოვება ყველა გვარი ზაკუსკა.

სოფიო ალექსანდრეს ასული დანიელოვისა, მცოდნე კარგათ ენებისა: რუსულისა, შრანციულისა, ნემეცურისა და რომელსაც აქვს ჯეროვანი დიპლომი პეტერბურგის უნივერსიტეტისაგან უცხადებს ამით პატივ-ცემულს პუბლიკასა, რომ იმან გახსნა შკოლა ორთავე სქესის ყმაწვილებისათვის, რომელშიაც ენებს გარდა ასწავლის სხვა ყოველ გვარ სამეცნიერო საგნებსა. ამ შკოლაში მოდიან დილის ცხრა საათიდან ყმაწვილები, სწავლობენ პირველ საათამდე და მერე მიდიან შინ. პირობა მიღებისა არის ფრიად გაადვილებული შესახებ საშუალებისა. თვეში ყველა საგნების სასწავლებლათ ერთმევათ ხუთი მანეთი. მთხოვდეს იქვე შეიძლება მიეცეთ სადგომი ადგილები.

შკოლა იმყოფება სოლოლაკში, იავორ სოფიანოვის სახლში.

საბიბლიოგრაფიო ცნობა.
გუნების კარი,
საგაფილო წიგნი დაბალ კლასში სახმარებელი, შედგენილი ი. ბოგე-ბაშვილისაგან, სტამბიდან გამოვიდა; წიგნს შეადგენენ სხვა და სხვა სტატეები: ბოტანიკური, ზოოლოგიური, ანთროპოლოგიური, ფიზიკური და გეოგრაფიული. საზოგადო გეოგრაფიის ცნობების შემდეგ დაბეჭდილია საქართველოს გეოგრაფია. წიგნი თავდება ლექსებითა და მასთან დამატებულია საქართველოს ქარტა, რომლის მაშტაბი 40 ვერსია ერთ დიუმიზედ. სივრცით წიგნი ცამეტ ბეჭდის თაბახს იპყრობს თაბახის 12/0 ტანისას. „გუნების კარი“ ისყიდება ამ ხანობით მხოლოდ სასულიერო სემინარიაში, ი. ბოგებაშვილისასა და უ. მართანოვის საწიგნო მაღაზიაში.—შასი ყველგან 65 კაპეკია.